განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის N 11 დადგენილების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ -ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა (2019-2020)წწ. თანდართული დანართის სახით.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და ასევე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2019-2020

მიმართულება 1: გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება							
პრიორიტეტი	საქმიანობა	ინდიკატორი	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	პარტნიორი ორგანიზაცია	ვადა
ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა	1.1ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება	1.1.1.გეგმა განხილულია და დამტკიცებულია საბჭოს წევრების მიერ; 1.1.2.გეგმა წარდგენილია ყველა ჩართულ მხარესთან; 1.1.3.გამოქვეყნებულია გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში;			გენდერული თანასწორობის საბჭო		2019 წლის პირველი კვარტალი,2019 წლის იანვარი, 2020 წლის იანვარი
გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება	მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთათვის გენდერული თანასწორობის საკითხბზე სპეციალური სწავლების ორგანიზება(გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებზე, გენდერულ მეინტრიმინგზე, გენდერულ ბიჯეტირებაზე და გენდერულ სტატისტიკაზე).	ჩატარებული სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების და მათში მონაწილეთა რაოდენობა; ჩატარებულია სამი ტრენინგი; ტრენინგებსა და შეხვედრებში ჩართულია მოქალაქეების განცხადების მიმღებთა, საფინანსო-საბიუჯეტო, საზოგადოებასთან ურთიერთობის, იურიდიული, სოციალური სამსახურები და ასევე	2000 ლარი	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან თანადაფინანსების უზრუნველყოფა. გრანტები	მერია საკრებულო	არასამთავრობო/ დონორი ორგანიზაცია	2019 წლის პირველი და მეორე კვარტალი

		მუნიციპალიტეტში სტატისტიკის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირები					
გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრების ჩატარება და ანგარიშის წარდგენა წელიწადში მინიმუმ ორჯელ.	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა. შეხვედრაში მონაწილეთა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების რაოდენობა სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული და განხორციელებული აქტივობების/წინადადებები			გენდერზე პასუხისმგებელი პირი ; გენდერულ თანასწორობის საბჭო		2019 - 2020 წელი
ადგილობრივ საწარმოების და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების ცნობიერების გაზრდა, რათა მოხდეს საწარმოებში ქალისა და მამაკაცების თანაბარი დასაქმების ხელშეწყობა		ჩატარებულია სამი შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრები ადგილობრივ საწარმოების და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან			საკრებულო; გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი	ადგილობრივი საწარმოების და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები	2019 - 2020 წელი
					გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი	ადგილობრივი საწარმოების და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები	2019- 2020 წელი

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება	ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება	ახმეტის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგია ჩამოყალიბებულია. ახმეტის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგია დამტკიცებულია; სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ჩართულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები			გენდერული თანასწორობის საბჭო, გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი,მერიის გადაწყვეტილების მიმღები პირები, საკრებულოს დეპუტატები	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	2020 წლის მეორე და მესამე კვარტალი
	ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019 - 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება	2019-2020 წლის გენდრული თანასწორობის სამოქმედო გეგმა შეფასებულია, მომზადებულია შესრულების ანგარიშის დოკუმენტი; ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია მერიის და საკრებულოს თანამშრომლებისათვის ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია ადგილობრივი ა/ო და დაინტერესებული პირებისათვის			გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	2019-2020 წლის მეოთხე კვარტალის დასაწყისი

	გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად, მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება	შესრულების ანგარიშის და მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიის გათვალისწინებით გაწერილია ახალი სამოქმედო გეგმა			გენდერული თანასწორობის საბჭო, გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი,მერიის გადაწყვეტილების მიმღები პირები, საკრებულოს დეპუტატები	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	2020 წლის მეოთხე კვარტალი
მიმართულება 2:	**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა**						
გენდერული სტატისტიკის შეგროვება	მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროების მიხედვით გენდერული მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმების და მეთოდების შემუშავება	შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და განახლების წესი, გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზაციის წესი, სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები			მერია, საკრებულო, გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თბილისის სტატისტიკის ბიურო,	2019 და 2020 მეორე კვარტალი
	მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთა გენდერულ ჭრილში სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა მისი პერიოდული განახლება და საინფორმაციო ბაზის	შექმნილი და პერიოდულად განახლებადი გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა			მერია საკრებულო გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი		2019 და 2020 მეორე კვარტალი

	ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				მერია საკრებულო		
	მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამების ბენეფიციარების გენდერულ ჭრილში სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, მისი პერიოდული განახლება და საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საინფორმაციო ბაზა გენდერულ ჭრილში			მერია საკრებულო გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი		2019 და 2020 მეორე კვარტალი
	საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საინფორმაციო ბაზის განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე			მერია საკრებულო		2019 და 2020 მესამე კვარტალი
მოხელეთა სამსახურში მიღების პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა	საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში ჩართულია მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი	საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის და კონკურსის შედეგების შესახებ მომზადებულია დასკვნა			მერია საკრებულო გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი		2019-2020 წელი
	საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების	5 სამუშაო დღის განმავლობაში კანდიდატს			მერია საკრებულო		2019-2020 წელი

	დასაბუთებული შედეგის გაცნობა.	ეცნობება დასაბუთებული პასუხი.			გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი		
	კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების ერთერთ კრიტერიუმად განისაზღვრა გენდერულ თანასწორობის მიმართ მათი დამოკიდებულება და მათი ცნობიერების დონე	საკონკურსო კომისიის გასაუბრების სხდომის ოქმში ასახულია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ კანდიდატის დამოკიდებულება და ცოდნის შესახებ ინფრმაცია			მერია საკრებულო გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი		
მიმართულება 3	**მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ**						
მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების)ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ	მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა გენდერული ნიშნით ოჯახში, ქალთა მიმართ ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ მექანიზმებზე	ჩატარებულია მინიმუმ 2 შეხვედრა თითო თემში	გადაადგილების თანხა (ბენზინი და მანქანა)	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი საბჭოს გადამზადებული წევრები		2019 წლის პირველი კვარტალიდან
	გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირის და გენდერული თანასწორობის საბჭოს რამდენიმე წევრის	ჩატარებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ტრენინგი საბჭოს წევრებისთვის	1000 ლარი	ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის	მერია საკრებულო	არასამთავრობო/ დონორი ორგანიზაცია	2019 წლის ნოემბერი/ დეკემბერი

	გადამზადება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში რეფერირებისათვის განხორციელებისათვის და კონსულტაციის გასაწევად	ოჯახში ძალადობაზე და არსებულ მექანიზმებზე		გამოყოფილი თანხებიდან თანადაფინანსების უზრუნველყოფა. გრანტები			
	სოფლებშიდა თემში არაფორმალური ლიდერების გამოვლენა და მათთან თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის პრევენციისაა და გამოვლენის მიზნით	ყველა თემში და სოფელში გამოვლენილია არაფორმალური ლიდერები არაფორმალურ ლიდერებთან ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე	გადაადგილების თანხა (ბენზინი და მანქანა)	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საბჭოს გადამზადებული წევრები მერის წარმომადგენლები		2019 წლის პირველი და მეორე კვარტალი
	გენდერზე პასუხისმგებელი პირის და საბჭოს წევრების (კონსულტანტების) საინფორმაციო შეხვედრები	არაფორმალური ლიდერების დახმარებით (მობილიზებას უზრუნველყოფენ) და მათი მონაწილეობით ჩატარებულია მინიმუმ ორი შეხვედრა თითო თემში და სოფელში	გადაადგილების თანხა (ბენზინი და მანქანა)	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საბჭოს გადამზადებული წევრები		2019 წლის პირველი და მეორე კვარტალი
	ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა	სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შემუშავებულია და განხორციელბულია	გადაადგილების თანხა (ბენზინი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი,	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019 და 2020 წლის დეკემბერი

	ღონისძიების ორგანიზება	16 დღიანი კამპანიის აქტივობები	და მანქანა)		საბჭოს გადამზადებული წევრები		
	არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით	მომზადებულია სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პაკეტი მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია დაბეჭდილია საინფორმაციო ბუკლეტი დაბეჭდილი საინფორმაციო ბუკლეტი გავრცელებულია, როგორც ქალთა ოთახში ასევე თემში შეხვედრების დროს	საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 500 ლარი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი,	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019 წლის პირველი-მეორე კვარტალი 2019 წლის პირველი-მესამე კვარტალი გავრცელება
	მოსახლეობაში რეგისტრირებული ქორწინების შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით შეხვედრების დაგეგმვა	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა მომზადებულია საინფორმაციო ბუკლეტი	საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი,	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019 წლის სეტემბერ-დეკემბერი მოსამზადებელი პერიოდი, 2020 წლის პირველი მეორე

		დაბეჭდილი საინფორმაციო ბუკლეტი გავრცელებულია, როგორც ქალთა ოთახში ასევე თემში შეხვედრების დროს					კვარტალი გავრცელება
	ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშეწყობა	ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან დაგეგმილია ღონისძიებები 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში სკოლის მოსაწავლეებისთვის ორგანიზებულია კინო ჩვენება და დისკუსია			გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საბჭოს გადამზადებული წევრები	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019 და 2020 წლის დეკემბერი
	ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება	მოწყობილია გამოფენა დამფუძნებელი კრების წევრი ქალები: 1919-1921”			გენდერზე პასუხისმგებელი პირი, მერია	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	2020 წლის მეორე კვარტალი
	სპორტსმენი გოგონების ხელშეწყობა	გოგონებისთვის ფეხბურთის და კალათბურთის ჩემპიონატების ორგანიზება; მუნიციაპლიტეტის მასშტაბით სპორტსმენი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული თანხებიდან		გენდერზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული თანასწორობის საბჭო	ახმეტის კომპლექსური სპორტ-სკოლა	2019 -2020 წლები

	ახალგაზრდებთან გასვლითი (ღია) ღონისძიებების ჩატარება,სწავლება	გოგონების ბანერები დაბეჭდილია და განთავსებულია საჯარო სივრცეში	1500 ლარი		გენდერზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული თანასწორობის საბჭო		2019-2020 წლები
მიმართულება 4	**ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები**						
ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა დასაცავად გასატარებელი ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისთვის (წელიწადში არანაკლებ 8 ტრენინგი)	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ჩატარებულია 8 ტრენინგი			გენდერზე პასუხისმგებელი პირი,გენდერული თანასწორობის საბჭო, საკრებულო, მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019
	მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლებისათვის (წელიწადში არანაკლებ 8 ტრენინგი)	მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლებისათვისჩატარებულია 8 ტრენინგი			გენდერზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული თანასწორობის საბჭო, საკრებულო, მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019
	ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის - ადრეული ქორწინების საკითხების)ოჯახში ძალადობის	ჩატარებულია ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის - ადრეული ქორწინების საკითხების)ოჯახში ძალადობის საკითხებზე, არსებული სახელმწიფო მომსახურების			გენდერზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული თანასწორობის	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019

	საკითხებზე, არსებული სახელმწიფო მომსახურების პოლულარიზების მიზნით, საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან: ეთნიკურ უმცირესობებთან (წელიწადში არანაკელბ 4 შეხვედრა) იძულებით გადაადგილებულ პირებთან (წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა) ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან (წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა)	პოპულარიზების მიზნით, შეხვედრები: მინიმუმ 4 შეხვედრა ეთნიკურ უმცირესობებთან მინიმუმ 4 შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ პირებთან მინიმუმ 4 შეხვედრა ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან			საბჭო, საკრებულო, მერია		

	შერჩეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში (სადაც განსაკუთრებით ხშირია ადრეული ქორწინების პრაქტიკა) თემების მობილიზება ადრეული ქორწინების პრევენციისათვის , მათ შორის თემისა და რელიგიური ლიდერების ჩართვა.	ჩატარებულია მინიმუმ ორი შეხვედრა თემში და სოფლებში			გენდერზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული თანასწორობის საბჭო, საკრებულო, მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	2019